# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე დღეებში კანტორა დაკეტილია.
კანტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი | სამშაბათი, თებერვლის 10 1920 წ. № 29 | ფასი 4 მან.



საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა საბჭოსა და ვაჭარ-მრეწველთა თაოსნობით და ფინ. მინისტრის თანხმობით, ქ. თბილისში არსდება

## საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი
(ცენტრობანკი)

რომლის ძირითადი თანხა არის 20.000.000 მან. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯის დასაფარავად შემოტანილ უნდა იქნეს 50 მან., ერთი ხმის უფლებას აძლევს 20 აქცია. ამ თავითვე შემოტანილი უნდა იქნას აქციის ნახევარი ღირებულება 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისათვის სულ 50 მან. ესე იგი თითო აქციაზე 550 მან.

ხელმოწერა ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა მთელს საქართველოში დანიშნულია: 17-ს სამშაბათს, 18-ს ოთხშაბათს, 19-ს, ხუთშაბათს და 20 პარასკევს, ამა თებერვალს:

თბილისში, სამეურნეო ბანკში, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან, მ. ა. გოთუასთან.

ინგლისის ფირმის „კოსმოს-ლიმიტედის" კანტორაში, საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, გრიგოლ გიორგის ძე ბერიძესთან, (ბარონის ქ. № 15).

ცენტრობანკის ბინაზე, (პუშკინის ქ. № 3), საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზთან.

ქუთაისში: საურთიერთო ნდობის ბანკში, პავლე უზნაძესთან და სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ვარლამ ჭილაძესთან.

ბათომში: საურთიერთო ნდობის ბანკში, ნიკოლოზ საბაშვილთან და მათე როსიძესთან.

სოხუმში: საურთიერთო ნდობის ბანკში, პლატონ გელოვანთან და ჯოტო შერვაშიძესთან.

ხილნალში: საურთიერთო ნდობისბანკში, კოტე ტყავაძესთან.

ფოთში, თელავში, გორში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ზესტაფონში და ჭიათურაში ადგილობრივ საურთიერთო ბანკებში, სილნაღის კოოპერატივთა კავშირში, კახელ მეღვინეთა კავშირთა-კავშირში და საქართველოს ყველა საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებში (იმ დაწესებულებათა გამგეობებში).

აქციონერთა პირველი საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 29 ამა თებერვალს, თბილისში, ცენტრობანკის ბინაზე.

ცენტრობანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი.

თბილისი, პუშკინის ქ. № 3 (თავისუფლების მოედანის პირდაპირ) ტელეფონი № 3-46. დეპეშისათვის—თბილისი—ცენტრობანკი. 10 1—1



ნინო ივანეს ასული და კონსტანტინე იოსების ძე, ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პარასკევა პეტრეს ასული და ბიქტორ კონსტანტინე-ძე სვიმონიშვილები პაწაწინა შვილებით ნინოთი და კოტეთი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ შვილის ძვირფასი რძალის, მხურვალედ საყვარელი ერთად ერთი დის და ერთად-ერთი მამიდის

### ლენოჩკა ბარათაშვილისას

გამოსვენება სამშაბათს, თებერვლის 10-ს, დილის 10 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2825—1—1

იესე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, დედა მისი ანასტასია ალექსანდრეს ასული და ძმა ნიკოლოზი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველას საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე, მეორისა და მესამის რძალი

### ელენე კონსტანტინეს ასული ბარათაშვილისა

გამოსვენება დღეს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ოლღის ქ. 20) ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2825—1—1

სოფ. ჩიბათის ეროვნულ დემოკრატიული კომიტეტი ღრმა მწუხარებით აცხადებს პარტიის წევრის

### ნიკიფორე გურგენის ძე ჭუნიას

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს ათ თებერვალს ეკლესიის გალავანში წირვის შემდეგ, რასაც ვაუწყებთ პარტიის წევრთ და მის პატივისმცემელთ. 1—1

ერწილე სიმონის ძე ხავთასი უგულითადესი მწუხარებით აუწყებს ნათესავ-ნაცნობთა და მეგობრებს, რომ სამშაბათს, 10 თებერვალს, 12 საათზე წმ. ნინოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მის დაუვიწყარ პირმშო

### აკაკის

ორმოცი დღის გარდაცვალების მოსახსენებლად 2827 1—1

თანამშრომელ ამხ ნაგ ქალთა ჯგუფი ამით აუწყებს საზოგადოებას თავის ღრმეს მწუხარებას ძვირფას

### ელენე ბარათაშვილის

გარდაცვალებას.

გამოსვენება დღეს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ოლღის ქ. № 20) ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1



### სახელმწიფო თეატრი

ცვლახიშვილის ხელმძღვანელობით.
დღეს, თებერვლის 10 ს
მ. დავითაშვილის პასტორალი

## ვერტერი

ამა თებერვლიდან 1920 წ. ქ. ლაქ თბილისში, დამფუძნებელი კრების ქუჩაზე გაიხსნა სავაჭრო-სამრეწველო-საკომისიო სახლი

## „ძმური საქმე"-ს კონტორა

სადაც 10—3 საათამდის შეიძლება ნახვა სხვა და სხვა საქონლების ნიმუშებისა, როგორც: სხვა და სხვა მანუფაქტურისა და გალანტერეისა, ფეხსაცმლებისა, საცვლებისა, ზეწრებისა, სუფრებისა, პლაშჩებისა, თბილი პერანგებისა, დამზადებული ტანსაცმლებისა, სამანქანო ღვიძებისა სხვა და სხვა ზომისა და ღირსებისა, ემალის ჭურჭლებისა, ნავთალინი, სხვა და სხვა ზომის და ღირსების ბოთლებისა, დანების, სამართებლებისა, ქლიბებისა, ლურსმნებისა და სხვა და სხვა ნივთებისა.

საქონელი ინგლისიდან არის მიღებული და შემდეგაც ფირმას ეძლევა საშვალება ვანუწყვეტლივ იქონიოს მასთან კავშირი. საქონელი იყიდება დიდ პარტიებით, როგორც ადგილობრივ ბონებზედ, აგრეთვე სხვა სახელმწიფოების ვალიუტაზედ და შეიძლება გაცვლა სხვა და სხვა ნედლ საქონელში. იქვე იღებენ სხვა და სხვა საკომისიო მინდობილებას. მისამართი ფოსტით: ქ. თბილისი, დამფუძნებელ კრების ქ. № 4, კონტორა „ძმური საქმე". დეპეშით: თბილისი „ძმური საქმე". ფირმა „ძმური საქმის" გამგეობა 2822 2—1



### დღეს კინემატოგრაფებში

აპოლო

დღეს უკანასკნელად
დაიდგმება სამხატვრო სიახლე. კინემატოგრაფიული ხელოვნების შედევრი

## ნაუღაკა

მოქმედება სწარმოებს ევროპიელისთვის მიუწვდომელ მხარეში, ინდოეთის ერთ კუთხეში. ცხოვრება და ინტრიგები სიხარულის ჰარამხანაში.
ფავორიტკის სიტობლის როლში, ცნობილი მოცეკვავე ქალი—დორალდინა; ტორვენას როლში—ანტონიო მორენო. ხუდიაკოვის მუსიკ-ილუსტრაცია.

კინო პალასი

დღეს უკანასკნელათ გრანდიოზული და არ-ნახულის დადგმის დასაწყისი 1, 2, 3 ეპიზოდი (ძერა და მტრედი, ვეფხვის თვალი და იჭვიანობა)
პირველი ახლად მიღებულ ცნობილ ამერიკულ ფილმებიდან:
გრანდიოზული კინო-რომანი

## მკვლელების სახლი

12 ეპიზოდი (24 ნაწილად)

ცნობილ კინო-არტისტების

## უაიტისა და ანტონიო მორენოს

მონაწილეობით

ანონსი. ხვალ გაგრძელება ეპიზოდები: 4, 5, 6.

ფილმა — კინო-თეატრი ოლღის ქუჩა № 3.

ახალი ეგზემპლიარი შესანიშნავი დადგმის „ფილმ დ'არ".

L, ASSOMMOIR (კაკანათი)

დრამატიული სცენები ემილ ზოლას რომანით კუპოს როლში—ბ-ნი არკიერი, რომელიც გენიალურად ასრულებს თავის სცენას.
ცნობილი შეუდარებელი **პრენსი** ახლახან მიღებულ კომიკურში.
**რიჩარდენ გალოპის მასწავლებელი** შეუწყვეტელი სიცილი. პრენსის ახალი შედევრი.
**იოსემი ტურ ეროვნული პარკი** (ჩრდილო-ამერ. შეერთ. შტატები.) **მშვენიერი სანახაობითი** სალებავებით.



### კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.
თებერვლის 8, 9 და 10-ს

## ბედისწერის სასჯელი

მხატვრული დრ. ოლაფე ფენსის მონაწილეობით. დასასრულ:
**უბინაო კაცი**
ფარსი ორ ნაწილად.

**ანონსი:** ამ დღეებში დაიდგმება ახლახანს ვარშავიდან მიღებული სურათი „BIANE A NOIR" (ორბუნებოვანი ადამიანი) ფსიქოლოგიური დრამა 6 ნაწილად.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
**ფალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ.-მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.



მიხეილის
### ალკრე
პლეხანოვის ქუჩა, 91.

პარასკევს თებერვლის 6-დან ნიდის მე 2-ე სერია დრამის

**გამოქცეული კატორღელი**

5 ნაწილად.
ე. მ. ნაზუხინის რომანით.
მთავარ როლებში ვ. ვ. მანილოვი. მსახ. სახელმწ. თეატრისა.
დასასრულ კომიკური. ყოველდღე სიმფონიური ორკესტრი.
დასაწყისი 5 ნახ. საათ.

### ქართული კლუბი

ოთხშაბათს 11 თებერვალს
რუსულ-დრამის „ტარტოს" მიერ წარმოდგენილი იქნება

## კინ

4 მოქმედ. ა. დიუმესი.
მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი.
დასაწყისი 9 საათზე.
კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 13 1—1

### დავით კლდიაშვილის
## იუბილე

ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით კვირას, თებერვლის 15-ს სახელმწიფო თეატრში მხცოვან ბელეტრისტის 30 წლის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის იუბილე იმართება. ზეიმის პროგრამა საბოლოოდ ასეა შემუშავებული:
1) ივ. გომართელის მოხსენება იუბილიარის შემოქმედების შესახებ.
2) მილოცვები.
3) „დარისპანის გასაჭირი" 1 მოქ. იუბილიარისა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ქართველი მსახიობნი. 7 1—1



### თბილ. შეშის საწყობების პატ--თა კავშ. გამგეობა

სთხოვს მოქალაქეებს აცნობონ აღნიშნულ გამგეობას, რომელიც იმყოფება მადატოვის კუნძულზე, საწყობი

## „ივერია"-ს ამხანაგობასა,
შეშის საწყობების მეპატრონეთაგან

## შეშის ნიხრის დარღვევისა

შეშის მიღებულ ზომაზე დაკლებულათ დაწყობის შესახებ და აგრეთვე სხვა გვარ უკანონო მოქმედებათა შესახებ. გამგეობის კანტორა ღია არის დილის 9 საათ —2 საათამდე და 5 საათ.—7 საათამდე.
გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ასეთ შემთხვევაში თვით მიიღოს სასტიკი დამსჯელი და გამასწორებელი ზომები.
2796 2—1 გამგეობა.

## პ. ფ. პ. ლატნიკოვის
### ბუჰგალტერიის პრაქტიკულ კურსებზე
მეცადინეობის დაწყება ახ. ლ ჯგუფის 1 თებერვლიდან
ჩაწერა საღ. 4—8 საათამდე მიხეილის პრ. № 132. 5—6



ცირკი „კრისტენს"
ვერის დაღმართზე. ტელ. 5—82.
სამშაბათს, თებერვლის 10-ს 1920 წ.
გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა ა. მატოვის და ახლად ჩამოსულ იუმორისტ „თბილისელ კინტოს" გ მესხიაშვილის მონაწილეობით
ფრანგულ ჭიდაობის გაგრძელება, საერთაშორისო ფალავანთა გამოსვლა
**ერმაკოვ —ნეიზვესტნის** წინააღმდეგ
პირველი დებიუტი ჩრდილო კავკასიის ფალავანის
**ჯიოვანი—ფ. უ. მოზი ტ—სანდაროვი.**
დასაწყისი 8 ნახ. ს. ჭიდაობის 10 ნახ. ს.
2806 1—1 გამგე უ. იურევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")
დღეს, თებერვლის 8-ს
2 ქართული საღამო
გრანდიოზიული პროგრამა
საღამო დაიწყება ღამის 11 ს.
ყოველ დღე საათის 1—5 ს.-დე ხადილი.
ორშაბათს, თებერვლის 9-ს პრემიერა.
სტუმრების შეკრება ღ. 10 ს.

15 თებერვალს 1920 წ. ქ თბილისში საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე დილის სრულს 10 საათზე დაიწყება

საქართველოს მეთამბაქოეთა

ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეთამბაქოთ, აგრანომებს და ყველა მოღვაწეთ, ვისაც დამოკიდებულება აქვს მეთამბაქოობასთან. ერობები, კოოპერატიულ და საკრედიტო დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენელთ.
ვთხოვთ ყველას პროვინციიდან წარმოადგინონ მოხსენებები ადგილებიდან.
ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება ქვემო მოყვანილ მისამართით დილის 10 საათიდან 2 საათამდის

საორგანიზაციო კომიტეტი.

თბილისი. გრაფის ქ. № 2. ტელეფ. 6-43. 2798 6—4

სარჯის კაკაბაძის

„საქართველოს მოკლე ისტორია"

ახალი საუკუნეების ეპოქა მე-16 საუკუნიდან უკანასკნელ დრომდის. გამოცემა საქართ. ცენტრალ. კოოპერ. კავშირისა.
წიგნი შეიცავს 228 გვერდს მოზრდილ ფორმატისას, თანდართული აქვს ისტორიული რუკა და ღირს ხუთი თუმანი.
თბილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგად. წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პრ.
მთავარი საწყობი: თბილისი, კოოპერაციის ქუჩა, № 14, საქ. ცენტ. კოოპ. კავშირი, ტელ. 4 32. 14 3—1


# დ ღ ე ს:

ინგლისის ოფიციალ წრეებში გავრცელებულ ხმით უმაღლეს საბჭოს განუზრახავს მრავალ რიცხოვანი ჯარი გამოგზავნოს ამიერკავკასიაში საქართველოსა და მის მეზობლების დასახმარებლად.

სარწმუნო წყაროების მიხედვით პარიზში მოკლე ხანს გადასწყდება საკითხი ანტანტის მიერ მთიელთა რესპუბლიკის ალიარების შესახებ.

„ტრუდ. ზნამია"-ს ცნობით მთიელებმა ქ. დარუბანდი აიღეს.

ბოლშევიკებმა ოდესაში დიდძალი დავლა იგდეს ხელთ. ბოლშევიკებმა ქ. კრასნოვოდსკი აიღეს.

კორეელები იაპონელებს ებრძვიან.

——

**წ ე რ ი ლ ე ბ ი:**

მეთაური—იძულებითი ჩამორთმევა.
— ანტანტი საქართველოსათვის დახმარების შესახებ
— საბჭოთა რუსეთი და აზერბაიჯანი.

## იძულებითი ჩამორთმევა

სოციალისტურმა პროპაგანდამ ათეულ წლების განმავლობაში ქართველი ხალხი შეაჩვია ჩამორთმევის და წართმევის „სამართლიანობას". რევოლუციამ ამ პროპაგანდის განაღდება დაიწყო. 1917-ის 16 დეკემბრის და 1918-ის 7 მარტის კანონები ხორცის შესხმა იყო ნაქადაგევ ტაციობისა და დემაგოგიურ დაპირებათა. მაგრამ სინამდვილემ განაშნია მირაჟი და ცოცხალმა ფაქტებმა ცხადი ჰყვეს რევოლუციური მეთოდის მავნებლობა, როგორც ნაციონალური მეურნეობისა, და აგრეთვე ნაციონალური პსიხოლოგიის მთლიანობისათვის. სინამდვილის ძალას თანდათან უთმობენ მოძალოდენი და რევოლუციის აწეულ ბარომეტრის დროს დაწერილ კანონებში დრო-გამოშვებით შესწორებები შეაქვთ.

იძულებითი ჩამორთმევის კანონი, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ გასული წლის ივლისის 11 ს მიიღო, ერთსა და იმავე დროს ატარებს რევოლიუციის პირველ სიფიცხისა და მისი დეპრესიის ბეჭედს. თუ იგი პირდაპირ წართმევას არ ქადაგობს, არც საკუთრის უფლებას იცავს საჭირო სიმტკიცით. ამ კანონში არც რევოლიუციის უფლებაა სავსებით დაცული და არც ნორმალური ცხოვრების პირობები. აქ შებღალულია რევოლიუციაც, შებღალულია საკუთრებაც და დაზიანებულია სოციალური ევოლუციის საძირკველი. თვით ფორმა და კანონის ჩამოსხმულება ალსავსეა დეფექტებით. კანონს არც კალაპოტი აქვს მკაფიოდ ჩამოსხმული, არც შინაარსი. იგი იძლევა თვითნებობისათვის ფართო ასპარეზს და არ შეიცავს არავითარ გარანტიას იმისას, რომ კერძო საკუთრება ცოცხალი გადარჩება, თუ მისი ჩანთქმა მოისურვა ქალაქმა, ან ერობამ. მხოლოდ მადაა კანონის საზღვარი. და აკი ბევრი უსამართლობა დაატრიალა ამ კანონმა და ბევრი მოქალაქე მიიყვანა ეკონომიურ გაჩანაგებამდე; შემთხვევებია, რომ იგი კერძო პირთ პირველ და უკანასკნელ წყაროს ართმევს და დასახლკარებულ პირებს ქუჩაში სტოვებს. ასეთი კანონი ნამდვილი ბარბაროსობაა, იგი ამუდმივებს წართმევის პსიხოლოგიას და წარმოშობს ანარქიას. მოქალაქობრივი ცხოვრების მშვიდი განვითარება შეუძლებელი ხდება, შეუძლებელი ხდება ნივთიერი დაწინაურებაც.

სენაკის მაგალითი მეტად მეტყველია. ქალაქის მთელ მესამედს სამაზრო ერობის ყრილობამ კონფისკაცია უყო, ისე რომ არავითარი საჭიროება ამისთვის აღარ არის,—რაღაც სასაცილო საფასურში. ამგვარივე მაგალითები ბევრ სხვა ადგილასაც იყო. კანონს იყენებს სათემო ერობაც თავის „საჭიროების" დასაკმაყოფილებლად ამ ნიადაგზე შექმნილმა მოქალაქეთა გოდებამ და საჩივარმა აიძულა მთავრობა სიფრთხილით მოჰკიდებოდა „ჩამორთმევის" დადგენილებას და თვით 11 ივლისის კანონი ფორმისა და შინაარსის მხრივ სრულ საყოფელად იუსტიციის მინისტრისთვის გადაეცა. ჩვენ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ მიზან შეწონილობის მხრივ საჭირო იყო ეს კანონი აგრეთვე სენატის ყველა დეპარტამენტის სხდომას გადასცემოდა იმავე მიზნისთვის. ერთი სიტყვით ამ კანონს გადახედვა და გაუკეთესება სჭირია.

ცხადია, რომ ამავე კანონის ძალით აქვს თბილისის ქალაქის საბჭოს თვის დღიურში შეტანილი არტისტიულ საზოგადოებისა და მანთაშევის შენობის ჩამორთმევაც.

სახელმწიფო ინტერესისთვის უძრავ ქონების ჩამორთმევა ცნობილია ძველთა ძველის დროიდან; რომმაც იცის ეს. მაგრამ მართლაც გარდაუვალი სახელმწიფოებრივი საჭიროება უნდა ყოფილიყო, რომ მესაკუთრე შეეწუხებინოთ. ეს საჭიროება ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო თავის ობიექტიურ გარდუვალობით. მხოლოდ ამ იშვიათ შემთხვევაში თავის-თავს იძულებულს ხდიდა სახელმწიფო შეხებოდა კერძო საკუთრებას. ეს აქტი მეტად მძიმე აქტია და მას ყოველთვის წინ უძღოდა დიდი სიფრთხილე და შესწავლა.

მოქალაქეც ვალდებულია ანგარიში გაუწიოს სახელმწიფო საჭიროებას და მას დაუთმოს: თუ მან თავისი ეგოიზმი სახელმწიფოს აუცილებელ საჭიროებაზედ მაღლა დააყენა და საზოგადოებრივი თვისება ვერ გამოიჩინა, მაშინ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ჩამორთმევის უფლება და ეს უფლება ჰქონდა კიდევაც მას ყოველგან და ყოველთვის.

ჩვენში კი ამ ჩამორთმევის აქტს არ უძღვის წინ ასეთი სიფრთხილე; ჩვენში არ აქვთ შეგნებული სიმძიმე ამგვარი ღონისძიების; ჩვენში პატივ-აყრილია საკუთრების უფლება. ყველას შეუძლიან სთქვას „ეს მეხაჭიროებაო" და ხელი შეახოს სხვის საკუთრებას. მეტი რა გინდათ, სათემო ერობებიც ფართოდ სარგებლობენ 11 ივლისის კანონით. ჩამოთმევის უფლება ჩვენში ძალზე გადემოკრატებულია და ფართოდ არის გაცემული; მთავარი ნაკლი და ამ კანონის მავნებლობა სწორედ ამაში მდგომარეობს. საჭირო ჩამორთმევის უფლებით მსარგებელ სუბიექტების რიცხვის შეზღუდვა, იგი მარტო სახელმწიფოს უნდა მიესაკუთროს და მის საშუალებით უნდა ხდებოდეს. ასეთი შემთხვევაში მეტი იქნება გარანტია, სამართლიანობისა და რწმენაც ამგვარი ღონისძიების მართლაც გარდუვალ საჭიროებისა. ამას მოქალაქეც უფრო შეურიგდება. სათემო, სამაზრო თუ საქალაქო თვითმართველობას კი უნდა ჩამოერთვათ უშუალო უფლება ჩამორთმევის წარმოებისა. ამასთანავე იმ ადამიანს, რომელსაც უძრავი ქონების ჩამორთმევა თავს დაატყდება სახ. ლმწიფო საჭიროებისათვის, ჩამორთმეულ ქონებაში უნდა მიეცეს: მიმდინარე ბაზრის ფასი. ასეთ პირობებში მსხვერპლი მხოლოდ გარდაუვალ აუცილებლობას შეეწირება და ეს პსიხოლოგიურად სოციალურ ურთი-ერთობაში დამამშვიდებელი იქნება და ეკონომიურადაც არ დააზარალებს ქონება-ჩამორთმეულ პირს. არც თვითმოქმედების და კერძო ინიციატივის სტიმული იქნება დაზიანებული და ნივთიერ წარმატების ძიებასაც ხალისი შერჩება. კერძო და საზოგადო შერიგებული დარჩება და ქვეყნის საერთო ცხოვრება ნორმალურად ივლის განვითარების გზაზედ.

ცხადია, რომ დასაზინავებელია ჩვენი ნაციონალური ხელოვნების ერთი უუმშვენიერესი დარგი დრამა რომელმაც გასული საუკუნის მეორე ნახევარიდან დაუფასებელი ამაგი დასდო ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას და ჩვენს პოლიტიკურ გამოფხიზლებას,

დღეს ეს დრამა თავშესაფარს მოკლებულია. ჩვენ ვერ ავიტანთ, იგი ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდეს და საკუთარ დედა-ქალაქში მათხოვარივით სულსა ლევდეს. ამ ეროვნული დრამის დაბინავება სახელმწიფო ღონისძიების საგანია, ეს მის ზრუნვასა და კომპეტენციაში შედის. ამ საქმის განხორციელება მთავრობამ უნდა მოახდინოს ყველა იმ გარანტიის დაცვით, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, და რომელმაც არც პსიხოლოგიური და არც ნივთიერი შეურაცხყოფა და ზარალი არ უნდა მიაყენოს იმ კერძო პირს, რომელსაც სახელმწიფო ინტერესისთვის დასჭირდება ერთგვარი პირადი მსხვერპლის გაღება.

## ანტანტი საქართველოსათვის დახმარების შესახებ.

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ი, იანვრის 20-ს №-ში სწერს:

„ინგლისის ოფიციალ წრეებში გუშან ხმა გავრცელდა, უმაღლეს საბჭოს განზრახული აქვს იმოქმედოს მოკავშირეთა სამხედრო ავტორიტეტების რჩევით და გაგზავნოს მრავალრიცხოვანი ჯარი ქართველების და მათი მეზობლების დასახმარებლად. ამიერეთში ანტიბოლშევიკურ ძალთა რაოდენობა, რომლითაც შეიძლება სარგებლობა, უდრის 50,000 ზე ნაკლებს, რომელნიც წინ ვერ აღუდგებიან ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ მასსიურ თავდასხმას. ისინი კარგად არიან ჩაცმულნი, მაგრამ არა აქვთ ზარბაზნები, სურსათი და ამუნიცია. მოკავშირეთა 200,000 კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცი იქნება მათთვის კარგი დამხმარე ძალა. ამბობენ, რომ ამ თვალსაზრისს იცავენ მარშალი ფოში და ამირბარონ-სერ ჰენრი ვილსონი, რომელთაც ამ უკანასკნელ ხანებში ჰქონიათ მოლაპარაკება ამ საკითხზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობაც მოხდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთგვარი „ბუფერ"-ის შესაქმნელად. თუ რომ სამხრეთშიც საჭირო გახდა სამხედრო „ბუფერის" შექმნა, მაშინ უმაღლესი საბჭო მოითხოვს ჯარების გაგზავნას რუსეთის დასავლეთ—საზღვრებზედაც.

## რუსეთი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

გაზეთი „აზხატაორი" იტყობინება, რომ თითქოს მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელს განეცხადებინოს სომხეთის მისიისთვის, რომ გენ. დენიკინმა იცნო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა.

თუ რამდენად სინამდვილეს შეეფერება ეს ცნობა ჩვენ არ ვიცით, ხოლო დღეს მიღებულ აზერბაიჯანის რადიოსადგურის ბიულეტინში მოთავსებულია ცნობა.

„ბერლინი. თებერვლის 5 საზონოვმა „გაზ. ვარშავსკა"-ს განუცხადა, რომ რუსეთი არა შემთხვევაში არ იცნობს სახელმწიფოებს, რომელნიც ყოფილ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდენ, გარდა პოლონეთისა და შეიძლება ფინლიანდიისა, ლატვიისა და ესტონიის დამოუკიდებლობა მოხვენებაა, უკრაინის ერი არ არსებობს, ხოლო რუსეთი ბელორუსიაზე თავის დღეში ხელს არ აიღებს".

## ოსმალეთის პარლამენტის მისალმება აზერბაიჯანს და საქართველოს

სტამბოლის გაზეთები იტყობინებიან, რომ ოსმალეთის პარლამენტს თავის პირველ სხდომაზე დაუდგენია, გაუგზავნოს მილოცვის დეპეშები აზერბაიჯანს და საქართველოს, მათი დამოუკიდებლობის ცნობის გამო.

# უცხოეთი

## ჩრდილო-კავკასიაში

**დარუბანდის აღება.**

ბაქოს გაზეთი „ტრუდ. ზნამია" თავის უკანასკნელ ნომერში იუწყება: „გუშინ მიღებულ სარწმუნო ცნობებით, მთიელებმა დარუბანდი აიღეს.

**მთიელთა რესპუბლიკის ალიარებისათვის.**

ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკის თავდაცვითი საბჭოს წარმომადგენელმა მიიღო სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, რომ სულ მოკლე მომავალში პარიზში გადასწყდება საკითხი ანტანტის მიერ მთიელთა რესპუბლიკის ალიარების შესახებ. არის ცნობები, რომ ალიარება მოხდება, რადგან კონფერენციის ხელმძღვანელ წრეებში ძირეულად შეიცვალა შეხედულება მთიელთა რესპუბლიკაზე და მას კიდევაც სთვლიან მომავალ საკავკასიო კონფედერაციის საჭირო ნაწილად.

ვ. ბ.

## სომხეთი

**ხომეხ ტყვეთა ჩამოსვლა**

სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელმა საქართველოში დავითხანიანმა, პრემიერ ა. ხატისიანს დეპეშით აცნობა რომ ფოთში გემით ჩამოვიდა 850 სამხედრო ტყვე, რომელნიც თებერვლის 1-ს 9 საათზე სომხეთში გაემგზავრნენ.

**ხანუხლარის ხომეხთა გაჭირვება**

აზერბაიჯანის წარმომადგენელმა სომხეთში მზრუნველობის სამინისტროს განუცხადა ხანუხლარის სომხების უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა.

ნახიჩევანის ადმინისტრაცია ულონოა გაჭირვებულთადმი დახმარების აღმოსაჩენად. აცნობებს რა ამას, წარმომადგენელი აზერბაიჯანისა სთხოვს სომხეთის მთავრობას აღმოუჩინოს დახმარება ამ გაჭირვებულთ და მასთან დასძენს, რომ გავრცელებული ხმები ამ რაიონში სომხეთა დარბევის შესახებ არ შეეფერებიან სინამდვილეს.

## რუსეთი

**ლენინის საახალწლო ქვენა.**

მოსკოვის უმავთულო სადგურმა შემდეგი საახალწლო მისალმება გაუგზავნა ლონდონს.

„1919 წელი მუშათა გამარჯვების წელი როგორც ფრონტზე ისე ზურგში. ეს არის საბჭოთა მთავრობის განმტკიცების წელიწადი წითელი ლაშქარი სასიკვდილო ლახვარს სცემდა ბრძოლის ველზე კონტრრევოლიუციას. წითელ ლაშქრის ძლიერმა შეტევამ შემუსრა მეფის გენერალთა ურდოები, ხოლო ჩვენ წითელ დახმარებით და გამარჯვების ყიჟინით ვეგებებით 1920 წელს.

1920 წელს ჩვენ სამოქალაქოს ომს დავაგრივგვინებთ. მთელს ციმბირში, უკრაინაში, დონში და კავკასიაში ჰსურთ საბჭოების არსებობა. საბჭოები იქნება ბერლინში, ვაშინგტონში, პარიზსა და ლონდონში. საბჭოთა მთავრობა ვრცელდება მთელს ქვეყანაზე.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ახალ გამარჯვებას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას, გაუმარჯოს წითელ ბელადებს.

ლენინს და ტროცკის; გაუმარჯოს რევოლიუციურ 1920 წელს.

**ყალბ ფულების მილიარდები.**

ვაშინგტონიდან იწყებიან: კონფერენციაზე მ. ლანსინიმ განაცხადა, რომ ლენინის ბრძანებით მოსკოვის ზარაფხანაში მოიჭრა მრავალი ფრანგული, ინგლისური, იტალიური, იაპონური და ამერიკული ქაღალდის ფული.

**ვ. პურიშკევიჩის გარდაცვალება.**

ნოვოროსიისკიდან იტყობინებიან, რომ იანვრის 14-ს ქალაქის სასაფლაოზე დაკრძალეს იქ გარდაცვალებული ვ. მ. პურიშკევიჩი, რომელიც შავმა სახადმა გაიტანა. პურიშკევიჩი ნოვოროსიისკში ჩასულა ავადმყოფ შვილთან ერთად და შავი სახადიც მისგან გადასდებია. (ტ. .).

**ოდესის აღება**

საქ. დეპ. სააგ.

ოდესაში წითელი ჯარის შესვლა 7/2 დილის 6 საათზე დაიწყო. 4 საათზე ქალაქის დიდი ნაწილი და ნავთსადგური წითელი ჯარის ხელში იყო. ქალაქში მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა. ქუჩებში გამოჩნდა ზარბაზნები და ისროდა. წითელი ჯარის წინააღმდეგ იბრძოდა აგრეთვე გალიციელთა ნაწილი. ქალაქს და წითელ ჯარს მტრის ფლოტი ესროდა. ნავთსადგურში სდგას ერთი ინგლისური და 1 რუსული კრეისერი. ხელში ჩავიგდეთ დიდძალი დავლა.

**ოპერატიული ცნობა**

მოსკოვი, 8/2. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება № 6 არგის რაიონში ჩვენ მხარეზე 220 კაცზე მეტი გადმოვიდა. პიტალი და რუჟიცის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. დრისის სამხრეთ აღმოსავლეთით 15 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ბობრუისკის რაიონში იგუმენსკის მიმართულების მზვერავები მოქმედებენ. მოზირის და კოლინის ნოვგოროდის რაიონში მცირე შეტაკება ვოზნესენსკის რაიონში მდ. ტილიგაზე ჩვენმა ჯარმა სოფლები აიღო. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით ოდესა აიღო. სივაშის სიღრმით ქვემო დონზე და მანიჩზე ბრძოლაა. სტავროპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 70 ვერსზე ჩვენმა ჯარმა კონსტანტინოვკა და სო. ბლაგოდატნოე აიღო.

მოსკოვი. ფურგანის რაიონში ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 600 შეიარაღებული და 2000 უიარაღო ჯარისკაცი. დამატებითი ცნობით ჩვენმა ჯარმა ქ. კრასნოვოდსკი აიღო.

**ჩუვაშთა ყრილობა.**

მოსკოვი. სრულიად რუსეთის ჩუვაშის 1-მა ყრილობამ ლენინს მისალმების დეპეშა გაუგზავნა. ჩუვაშთა ყრილობა ფიქრობს, რომ მხოლოდ კომუნისტურ წესწყობილებას შეუძლია მოსპობიდან გამოიყვანონ ჩუვაშები.

**ბოლშევიკების ლიდერები და რუსეთის მეურნეობა.**

(საქ. დეპ. სააგ.).

ლენინი სწერს: „სამოქალაქო ომს ჩვენ ვასრულებთ გამარჯვებით, ჩვენ დავიპყარით პირველი ზავი ესტონეთთან. ორი წელიწადი ჩვენ ვსწავლობდით გამარჯვებას და გავიმარჯვებთ. ეხლა რიგი უსისხლო ომზეა, გამარჯვება უსისხლო ფრონტზე, ომი შიმშილის, სიცივის და სახადის საწინააღმდეგოთ, რომ გავიმარჯვოთ სიმშილზე სიღარიბეზე, საჭიროებაზე, რომელიც იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა გამოიწვია, რაც უნდა დაჯდეს ცხოვრებაში შემდეგი წესრიგი უნდა გავატარო თუ ომია, მაშ ომისებურად". მუშები და გლეხები, რომელთაც შესძლეს შეედგინათ გმირი წითელი არმია, შესძლებენ წითელი მშრომელი არმიის შედგენას, აღადგენენ მიწის მუშაობას და მრეწველობას. ზინოვიევი სწერს: „ჩვენ შეგვიძლია ეხლა ვსთქვათ, რომ ჩვენი რევოლიუციის ხსნა ლოკომოტივებშია. ორი წელიწადი ჩვენ მტრის გენერლების დამარცხებას მოვანდომეთ ეხლა ჩვენ საქმეს მოვკიდებით ხელ თუ მეგობრულათ მოვკიდებთ ხელს საქმეს რამდენიმე მილიონი კაცი საბჭოთა რუსეთის სულ მოკლე ხანში ძნელი საცნობი შეიქნება. უნდა ხელში ავიღოთ მთავარი ღერძი"—ეს ღერძია რკინის გზა. ლოკომოტივებზეა ეხლა ყოველივე დამოკიდებულება ორთქლმავალების შეკეთება ყველაზე სავალსაჩინო რევოლიუციონური და პარტიული საქმეა. ორთქლმავალი აი ჩვენი დროის მთელი ფილოსოფია. კამენევი სწერს: „მოსკოვს დღეში 50 ვაგონი ხორბალი სჭირდება, მოდის კი არა უმეტეს 17-სა, რომ პური შემოვიტანოთ, საჭიროა ვაგონები, რომ ვაგონები წამოვიღოთ, საჭიროა ორთქლმავლები. ორთქლმავლები გადაარჩენენ მოსკოვს სიმშილისაგან. ციმბირში, თურქესტანში და ურალში დიდძალი სურსათია, როგორც მაგალითად პური, თევზი და ხორცი, სწერს ბუხარინი: „ეს სანოვაგე ხდება, იმიტომ რომ მათი გამოტანა შეუძლებელია, აუცილებელია ორთქლმავალები, აუცილებელია ტრანსპორტის მოწესრიგება.

**მილიერანი და რუსეთის [illegible]**

საქ. დეპ. სააგ.

კამათი გარეშე პოლიტიკის შესახებ მილიერანის ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა. რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ მან განაცხადა: რუსის ხალხთან ეკონომიური დამოკიდებულების განახლება, სრულებითაც არ ნიშნავს ბოლშევიკების ცნობას, რომელნიც გერმანელთა აგენტებია,—რომელთაც სურთ რუსეთზე და მთელ ევროპაში დიქტატურა დაამყარონო, მილიერანმა დაუმატა: ჩვენ გადავსწყვიტეთ არავითარ შემთხვევაში არ ჩავერიოთ რუსი ხალხის შინაურ პოლიტიკაშიო. რაც შეეხება გერმანიას, ჩვენ მისგან მოვითხოვთ ყველაფერს, რაც ჩვენ საზავო ხელშეკრულების გვერგება და და რომ ამას მივაღწიოთ ჩვენ არ დავერიდებ თ არც ერთ ძალდატანების ზომას, რომელიც კი ჩვენ საზავო ხელშეკრულებით გვაქვს მინიჭებული.

**ბოლშევიკთა სამხედრო ცნობა.**

(საქ. დეპ. სააგ.)

ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ვოროგასტაის ჩრდილოეთით 20 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. წამოვიყვანეთ 200 ტყვეზე მეტი, ხელში ჩავიგდეთ 2 ექვსდიუმიანი ზარბაზანი და სხვა სამხედრო ქონება. მტრის კონტრ-იერიშებს ჩვენ კარგად ვიგერიებთ მურმანის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ. რეჟიცის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით სოფლები აიღო. ბორიოსოვის მიმართულებით სამხრეთ--აღმოსავლეთით 25 ვერსზე ჩვენ ბრძოლით რამოდენიმე სოფელი ავიღეთ. მტერი უკან დახევის დროს ადგილობრივ მცხოვრებთ სძარცვავდა. ოდესის მიმართულებით ზღვის ნაპირის ხაზზე ჩვენი შეტევა გრძელდება. კრასნოვოდსკის მიმართ. 4 საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სადგური იანგაჯი აიღო. ხელში ჩავიგდეთ მტრის ჯავშნიანი მატარებელი, 4 ზარბაზანი და სხვა სამხედრო ქონება, რომლის რაოდენობა ჯერ არ გამორკვეულა. ხივის ჩრდილო-დასავლეთით 100 ვერსზე ხაჯელი ავიღოთ. ჩვენ ჯარს მტრის 500 ცხენოსანი მოემატა. ჩარჯის გარნიზონის უფროსის ცნობით ჯანა-უთხანის რაზმები ჩვენმა ჯარმა დაამარცხა.

## საფრანგეთი

**საფრანგეთის მიწების პარცელაცია**

გაზ. „მატენ"-ი აღნიშნავს კერძო მიწათმფლობელობის ზრდას საფრანგეთში. იმ ზომამდე ძლიერია ეს პროცესი, რომ გაზეთები სთვლიან მას აგრარულ მოძრაობად, მიუხედავად იმისა, რომ გამომდინარეობს მშვიდობიანი რევოლიუციიდან.

1918 წელს საფრანგეთში ყველა მიწადმფლობელთა რიცხვი აღწევდა 8 მილიონს. 1919 წლის განმავლობაში მიწადმფლობელთა რიცხვმა იმატა რამდენიმე ასი-ათასით. ისტორიის არც ერთ ძველ ხანებში მიწათმფლობელობელთა ასეთი ძლიერი შეჯგუფება (კონცენტრაცია) არ მომხდარა. გაზეთების აზრით, საფრანგეთის მიწების პარცელიაცია წარმოადგენს საფრანგეთის რევოლიუციის გაგრძელებას.

**მილიერანი თემთა პალატაში**

მილიერანმა, თავის სიტყვის დასასრულში, თემთა პალატაში განაცხადა: „ჩვენ არა ვართ პარტიის წარმომადგენელნი. ჩვენ ველით დახმარებას ყველა რესპუბლიკელებისაგან. ჩვენი მთავრობა არის—მთავრობა შეთანხმების და შრომის".

**ადრიატიკის საკითხი**

პარიზის დიპლომატიური წრეები ფიქრობენ, რომ ბოლოს და ბოლოს სერბია მიიღებს ადრიატიკის საკითხის პირობებს, მიუხედავად კროატების და სლოვიანელების ზოგიერთ წამოყენებულ დებულებების.

**მონბლანის გვირაბი**

საფრანგეთის და იტალიელების ინჟინერები ადგენენ პროექტს, რომლითაც შესაძლო იქნება მონბლანის ქვეშ გვირაბის გაყვანა. ამ გვირაბის საშუალებით შესაძლო გახდება საფრანგეთიდან პირდაპირ გასვლა იტალიაში. ამ პროექტს რამდენიმე წელიწადი ადგენდნენ და ორთავემ—საფრანგეთმა და იტალიამაც გვირაბის გასაყვანად ვალდებულად დიდი თანხა. საფრანგეთი იღებს 45 მილიონს, ხოლო იტალია 40 მილიონს.

## პალესტინა

**სოციალისტების კრებაზე**

ლონდონში სოციალისტების კრებაზე ჰერბერტ სამუელმა განაცხადა რომ პალესტინას ებრაელების თხოვნა განხილულ იქნება ინგლისის მთავრობის ზედამხედველობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია.

### მუშათა ახალგაზრდობის კონფერენცია

დეკემბრის ბოლოს ბერლინში მოხდა მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენცია. დაესწრნენ წარმომადგენელნი გერმანიიდან, ავსტრიიდან, ჰოლონდთიიდან, ჩეხიიდან, შვეციიდან, ნორვეგიიდან დანიიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან და სხ. წარმოდგენილ იყო 219 ათასი ორგანიზაციულად მოწყობილი ახალგაზრდა მუშები. კონფერენციამ ერთხმად გადასწყვიტა შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს. მიღებულ იქმნა დეკრეტი ახალგაზრდა მუშათადმი მიმართული. ამორჩეულ იქმნა განმკარგველი კომიტეტი 5 კაცისაგან, დადგენილ იქნა განსაკუთრებული ფონდით აღნიშნულ იქნას კარლ ლიბკნეხთის ხსოვნა და მისი გარდაცვალების დღეს, 15 იანვარს, მოეწყოს მანიფესტაციები.

# მდგომარეობა ეგვიპტეში

### „საქართველოს" თარგმანი.

„Times" 14 იანვრის №-ში სწერს: ეგვიპტეს ნაციონალისტთა მეთაური ზაგლუი ფაშა გამოსთქვამს თავის სიხარულს ეგვიპტეში ნაციონალურ მოძრაობის განვითარების გამო, მონარქების სურვილია სრული სოლიდარობა ეგვიპტეს ხალხთან და ემხრობიან სრული დამოუკიდებლობის მომხრეთ ai პასუხი დასამტკიცებელი იმათვის, ვისაც სურდათ ენახათ ეგვიპტეს სამეფო გვარეულობისა და ხალხის შორის დაშორება. ზაგლური ფაშამ განაცხადა რომ მონარქების ჩარევა დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემდეგ, რაც სრულებით სასიამოვნო არ არის მილნერის მისიისთვის, ამტკიცებს მხოლოდ ნაციონალურ გრძნობათა სოლიდარობას.

ის მოძრაობა, რომელიც დღეს ეგვიპტეში ვითარდება, ახლო მომავალში მრავალ საინტერესო ამბებს გვპირდება.

მეორე მხრით დეპეშებში რომელიც გაგზავნილი იყო ქაირიდან და დაიბეჭდა ინგლისურ გაზეთებში, ნათლად სჩანს რომ იმ მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც გაიმართა ზაგლუი-ფაშასა და მილნერის შორის, ფაშას წარმომადგენლების საშუალებით, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

**კლემანსო ეგვიპტეში.**

საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე პრემიერი კლემანსო 4 თებერვალს ეგვიპტეს გაემგზავრა, სადაც მეტის მეტ დაქანცულობის შემდგომ პრემიერი დასვენებას აპირებს.

# სპარსეთის მდგომარეობა

### (საქართველოს თარგმანი)

გაზ „ტიმეს" 15 იანვრის №-ში, შემდეგ წერილს უძღვნის სპარსეთის მდგომარეობას. სპარსეთს სურს თვითონ დაიცვას თავისი თავი კასპიის ზღვაზე. ეს კი მომასწავებელია იმის რომ მას აღარ სურს თურქმენებთან კავშირის დაჭერა. მიზეზი უსათუოდ ის არის, რომ იგი სპარსეთს ნებას არ აძლევს ფლოტი-კასპიის ზღვაში ჩაუშვას. სპარსეთს ეხლა შეუძლიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ანტი-ბოლშევიკურ მოძრაობაში. იქ ეხლა მიდრეკილებაა იქითკენ რომ დაუახლოვდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკას და შემდეგ საქართველოს და სომხეთსაც.

სომხეთის პრემიერ მინისტრი ჩავიდა სპარსეთში, სპარსეთის მისსია დიდ თავაზიანობით იქმნა მიღებული თათართა რესპუბლიკაში. უარყოფილია ყველა წინანდელი ტერიტორიალურ შეხლა შემოხლა.

სპარსეთს შეუძლიან მარტო დაარღვიოს ენვერ, ნურის, კაბიბეის და ხალილ-ბეის იმედები, რომელთა იმედი აქვთ განამტკიცონ პანისლავიზმი შუა აზიაში და ანტიბრიტანული მოძრაობა ცენტრალ აზიაში. კალაშნიცევი, ბოლშევიკების ახალი ელჩი, იქმნა გაგზავნილი ჩინში და სპარსეთში. ბრძოლის შუა გული თანდათან გადადის შუა აზიისაკენ. უნდა მიექცეს ყურადღება სპარსეთის ჩრდილო და აღმოსავლეთ საზღვრების მდგომარეობას.

**აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის ჩასვლა თეირანში.**

ამ დღეებში თეირანში ჩავიდა აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ადილ-ხან ზიათხანი.

აზერბაიჯანის ახალშენი მთლად გამოვიდა ქალაქს გარედ წარმომადგენლის დასახვედრად. იმ ადგილას, სადაც წარმომადგენელი ჩამოხდა, სპარსეთის უმაღლეს ხელისუფლობამ თავი მოიყარა. მისალმებითი სიტყვებით გამოდიოდნენ აზერბაიჯანის ახალშენის წარმომადგენლები. საპასუხო სიტყვაში ადილ-ხანმა წრფელი მადლობა გადაუხადა თავის პატივისმცემელთ. მეორე დღით ადილ-ხანი მიიღო სპარსეთის პრემიერმა—ვუსუგუდ დოვლემ, რომელთანაც მან ხანგრძლივი საუბარი იქონია ამ ორ სახელმწიფოს საკითხებზე. შემდეგ იგი წარუდგა სპარსეთის ტახტის მემკვიდრეს პრინც მამედ ალი ჰასან მირზას და ჩააბარა თვისი რწმუნებითი სიგელი. მემკვიდრის ნახვის დროს დაესწრო სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც იგტილაულ-მულკი.

# უკრაინა

### მდგომარეობა უკრაინაში

### (ინტერვიუ „საქართველო"-სთვის).

ჩვენ თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ამ დღეებში უკრაინიდან ჩამოსულ პასუხისმგებელ პირთან, რომელიც უკრაინის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ შემდეგს იუწყება.

**უკრაინა და ანტანტა.**

უკრაინულ დელეგაციისგან ბოლო დროს ახალი ცნობები არ მოსულა, ხოლო დირექტორიის წევრები აცხადებენ, რომ ანტანტამ უკანასკნელ დროს გადასწყვიტა უკრაინას ყოველ მხრივი ფართე დახმარება მისცეს, გაამაგროს მისი სახელმწიფოებრივობა და მის კანონიერ მთავრობად იცნოს დირექტორია პეტლიურას მეთაურობით.

**პოლონეთი და უკრაინა.**

პოლონეთსა და უკრაინას შორის უკრაინის მიერ გალიციაში დათმობების მერე დროებითი შეთანხმება მოხდა.

**ჯარში.**

დირექტორიის მთავარ ძალას ისევ გალიციელი მსროლელები და გლეხთა რაზმები შეადგენენ, რეგულიარულ ჯარის მოწყობა ჯერ ვერ მოხერხდა.

**ეკონომიური მხარე.**

იმ ტერიტორიაზე სადაც დირექტორიის მთავრობაა გავრცელებული ცხოვრება შედარებით იაფია, ვიდრე ეს ბოლშევიკებისგან დაპყრობილ ადგილებში... პური ღირს 2 მან. 6 მან. იმ დროს, როცა პური ხარკოვში 35 მან. ფასობს გირვანქა.

ბაზრებზე დიდძალია ყოველ-გვარი ნედლი მასალა.

**გლეხთა აჯანყებები.**

ბოლშევიკებისგან დაპყრობილ ადგილებში უკანასკნელ ხანებში გახშირდა გლეხთა ამბოხებები, საბჭოთა მპყრობელობის წინააღმდეგ, რაც ხელს უწყობს დირექტორიის მოქმედების გაფართოებას.

**ხალხის ხულიერი განწყობილება.**

მშრომელი მასსა ერთი წლის ბოლშევიკურ განცდის შემდეგ დიდის ნდობით უყურებს დემოკრატიულ მთავრობას და საბჭოებს უარჰყოფს.

**ვინიჩენკოს დაბრუნების შესახებ.**

შესაძლებელია, ახლა როცა დამოუკიდებელ უკრაინის საქმე სწორდება და ყველა დარწმუნდა მოსკოვის სოციალისტების იმპერიალისტობაში ვინიჩენკო ისევ დაუბრუნდეს მთავრობას.

# პოლონეთის, უკრაინისა და რუმინეთის ანტიბოლშევიკური კავშირი

უკრაინის მისსიამ კავკასიაში მიიღო ცნობები, რომ პოლონეთისა, უკრაინისა და რუმინეთის შორის შეთანხმება მომხდარა.

პოლონეთის ჯარები ეხმარებიან უკრაინას, უკრაინის დემოკრატიულ რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ. პეტლიურას ლაშქარი ახლა აქტიობას იჩენს.

30 ათასიანი რაზმი, რეპელეს ხელმძღვანელობით ისწრაფის ოდესისაკენ. აღმოსავლეთით ოდესაზე უტევენ გერმანიის მეამბოხენი. კონსტანტინოპოლში ლტოლვილთა სიტყვით, ოდესას სცლიან მოხალისენი.

უკრაინის დირექტორიას მეთაურობს ივ. მაზეპა და ლევიცკი. ვინპრიალა უკრაინელებმა დაიპყრეს. არის ცნობები, რომ კიევს პოლონეთ-უკრაინის ჯარები ემუქრებიან.

მჭიდრო კავშირის დასაჭერად და ამ ახალგაზრდა სახელმწიფოთა ფართე ფედერაციის მოსაწყობად ინგლისისა და საფრანგეთის თანამოქმედებით მოწვეულ იქმნა საგანგებო კონგრესები ვარშავაში და ფინეთში

# საბჭოთა რუსეთი და აზერბაიჯანი

**ჩიჩერინის ნოტა ხან-ხოილს.**

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი ნოტა მიიღო.

ბაქო. საგარეო საქმეთა მინისტრს ხან-ხოილს.

„იანვრის 23. საბჭ. რუსეთი იძულებულია, სამწუხაროდ, აღნიშნოს, რომ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ხან-ხოილის რადიოტელეგრამა, იანვრის 14-ის თარიღით, არ შეიცავს პირდაპირ პასუხს, იმ წინადადებაზე, რომელიც შეეხებოდა დენიკინის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისათვის რუსეთისა და აზერბაიჯანის სარდლობათა შორის კავშირის შეკვრას. არაპირდაპირი პასუხი შეიძლება ვიპოვოთ ჯერ ერთი ხან-ხოილის იმ განცხადებაში, რომ „აზერბაიჯანის მთავრობა სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მეფის-გენერალ დენიკინის წინააღმდეგ, ამითსავე არაპირდაპირ პასუხს იძლევა სხვა ერის შინაურ ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპზე მითითება სამწუხაროდ პირველ ზემოხსენებულ განცხადებათანი არ ეთანხმება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს.

ბაქოში, როგორც ვიცით, იმყოფებოდა მოხალისეთა ლაშქრის მთავარსარდლობის შტაბი, რომელიც ტერორისტულ აქტის მსხვერპლი შეიქმნა. დენიკინის აგენტის პოდშიბიკინის ხელმძღვანელობით და აზერბაიჯანის მთავრობის დახმარებით ხდებოდა აზერბაიჯანის სხვა და სხვა ადგილებში რუს-ოფიცრების მობილიზაცია მათი დენიკინის ლაშქარში ჩასარიცხად. დენიკინის წარმომადგენლად ბაქოსა და ტფილისს გაემგზავრა თავადი ბარათოვი, რომელთანაც გამოცხადდა აზერბაიჯანის მინისტრი უსუფბეკოვი. ბარათოვმა უსუფბეკოვის მთავრობას საბჭოთა რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობის მიღება მოსთხოვა. მინისტრმა უსუფბეკოვმა ოფიციალად განაცხადა, რომ დენიკინელების მიერ დაჭერილ ოლქებთან აღდგენილია რკინის გზის და ფოსტის მიმოსვლა. როგორც ვიცით, გენერალ დენიკინის ჯარი, მიუხედავად ინგლისის გენერალთა პირად განცხადებისა, სადემარკაციო ხაზის გაყვანის შესახებ,—შეტევას აწარმოებდა აზერბაიჯანზე.

კიდევ ფაქტი: ინგლისის სარდლობამ გაიყვანა ასეთი ხაზი პეტროვსკიდან ჩრდილოეთით ხუთი ვერსის დაშორებით, მაგრამ ამისდა მიუხედავად, დენიკინის ჯარი მდინარე სამურამდის და მესამე სადგურ იალამამდის მივიდა. სექტემბერში ინგლისის სარდლობამ სცნო. მდინარე წამურამდის დენიკინის ჯარის მიერ დაპყრობილი ტერიტორია და არ მისცა აზერბაიჯანს არავითარი გარანტია მოპაელისათვის. ამისდა მიუხედავად ხოილ-ხანის მთავრობა დაკმაყოფილდა იმ ნოტით, რომლითაც მიჰმართა მან დენიკინს და ინგლისის სარდლობას, მეფის გენერალის წინააღმდეგ კი ბრძოლა არ უწარმოებია.

დაღესტნის მთიელთა დენიკინის წინააღმდეგ აჯანყების დროს, დენიკინის წარმომადგენელმა აზერბაიჯანში, პალიცინმა მიიხმო თავისთან მინისტრი უსუფბეკოვი და რეპრესიებით დაემუქრა. ამის შემდეგ უსუფბეკოვის მთავრობა ცდილობდა თავი გაემართლებინა დენიკინელების წინაშე და საქართველოს მთავრობის მიერ მიცემულ იარაღის გატარებაც კი აუკრძალა დაღესტნელებს. სრულიად ნათელია მჭიდრო კავშირი ხან-ხოილის და უსუპბეკოვის და ინგლისის სარდლობის შორის, და საერთოდ ინგლისის სამხედრო ძალთა შორის, რომელიც იმავე დროს იყო მფარველი დენიკინისა, ასე რომ კარგა შეიარაღებული გემებიც კი აჩუქა მას კასპიის ზღვაზე, მაშინ როდესაც აზერბაიჯანს მხოლოდ ორი ალ ბურილი „ყარსი" და „არტაანი" გადასცა.

ხან ხოილის მითითება დენიკინთან წარსულ დამოკიდებულებაზე ამ რიგად სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ უსუფბეკოვის და ხან ხოილის მთავრობას განზრახული ჰქონდეთ მეფის ამ გენერლის წინააღმდეგ ბრძოლა. ხან-ხოილის რადიოტელეგრამაში აღნიშნულ პრინციპი რუსეთში მიმდინარე ბრძოლაში ჩაურევლობის შესახებ, შეიძლება იმ აზრით გავიგოთ, რომ აზერბაიჯანს არ ჰსურს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ იგი თავის ჯარით აზერბაიჯანს არ ესხმის.

ნუ თუ მინისტრი ხან-ხოილი ფიქრობს, რომ რუსეთში მიმდინარე ბრძოლა საბჭოთა და დენიკინის შორის სრულებით არ ეხება აზერბაიჯანის ბედს?

განა მან არ იცის, რომ დენიკინის და ყველა მის დამხმარის პროგრამა—მოითხოვს ერთ, განუყოფელ რუსეთის აღდგენას მის ძველ საზღვრებში და სხვათა შორის აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას და მის მცხოვრებთა ნების ყოფის გამოხატვის სრულს მოსპობას. განა მინისტრ ხან-ხოილისთვის საიდუმლოებაა, რომ დენიკინის გამარჯვება,—ეს იქნებოდა მეფის რეჟიმის აღდგენა სხვათა შორის აზერბაიჯანის საზღვარშიც? შეუძლებელია აგრეთვე, რომ მინისტრ ხან ხოილამდის არ მიეღწია საბჭოთა მთავრობის იმ მრავალ გზის განცხადებას, რომ იგი პრინციპიალად სცნობს ყველა ერის მშრომელთა ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებას. მან ალბად იცის მრავალ რიცხოვანი საბჭოთა მთავრობის მიერ ამ პრინციპის განხორციელების რეალი ფაქტები.

საბჭოთა მთავრობამ თავის არსებობის პირველ დღესვე სცნო ფინლიანდიის დამოუკიდებლობა, მრავალ ჯერ განუცხადებია პოლონეთის დამოუკიდებლობის ცნობა. მან პირველ მა მისცა ესტონეთს, ლატვიას და ლიტოვეთს საზავო მოლაპარაკების წინადადება, ამასთან უკვე შეუთანხმდა ესტონეთს მის დამოუკიდებლობის ცნობაზე მან უარი განაცხადა ყველა იმ კუთვნილ უფლებებზე, რომლებიც კი თუნდაც ოდნავ ზღუდავდნენ სპარსეთის, ჩინეთის და მონგოლიის ხალხთა სრულს დამოუკიდებლობას. ყოფილ რუსეთის იმპერიის ხალხთ: ბაშკირებს, ყირგიზებს და სხვებს მიანიჭა ფართე ავტონომია.

რუსეთის მთავრობა გიცხადებთ რა კიდევ ერთხელ, რომ იგი აზერბაიჯანის მთავრობის მიმართაც იმავე საერთო პრინციპებს მიმართავს,—ამ ჟამად იგი იძულებულია აღნიშნოს, რომ მათი წინადადებამ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისათვის მეტად მავნე, მეფის გენერალ დენიკინის წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ, ვერ პოვა გამოძახილი ხან-ხოილის მთავრობაში. ამის და მიუხედავად იგი ადგია თავის წინადადებას და იმედოვნებს, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი უშედეგოდ არ ჩაივლის.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

**აზერბაიჯანის მთავრობის პასუხი.**

გაზეთი „ისკრა" თებერვლის 8 თარიღით სწერს, რომ აზერბაიჯანის მთავრობას უკვე მზადა აქვს ჩიჩერინის ნოტაზე საპასუხო ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებას აზერბაიჯანი მაშინ სცნობს შესაძლებლად, როცა იგი აზერბაიჯანთან ისეთს ურთიერთობას დაამყარებს, როგორი ურთიერთობაც ესტონეთთან და პოლონეთთან დაამყარა.

**აზერბაიჯანის პრესა ნოტის შესახებ.**

აზერბაიჯანის მთავრობის ოფიციოზი „აზერბაიჯანი" ეხება ჩიჩერინის მიერ ხან-ხოილისადმი გამოგზავნილ ნოტას და სხვათა შორის სწერს:

„ჩვენ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი სამწუხარო წინააღმდეგობა, რომელიც თავს იჩენს ბოლშევიკების დამოკიდებულებაში დასავლეთ ერებისა და აზერბაიჯან საქართველოსადმი. იმ დროს, როდესაც იქ საბჭოთა მთავრობა არ მოუწოდებდა დენიკინის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლისათვის და კმაყოფილდებოდა მხოლოდ ცნობისა და ზავის წინადადების კატეგორიულ ფაქტებით, ჩვენს მიმართ კი იგი სცდილობს სრულად უყურადღებოდ დასტოვოს ის ბუნებრივი მოვლენა, დამოუკიდებლობის ცნობა, და უშუალოდ გადავიდეს დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად სამხედრო კავშირის წინადადებაზე. სადაა საბჭოთა რუსეთის ასეთ გამოუცნობ ორმაგ პოლიტიკის სეკრეტი? ყოველივე ამის გამო ჩვენ იმ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ ახალ ნოტაში მოყვანილი საბჭოთა რუსეთის განცხადება დაუბრკოლებლივ საერთო პრინციპების გამოყენების შესახებ მაშინ ექნებოდა ძალა და ჩვენც ნდობას აღგვიძრავდა, რომ მას წინ უძღოდეს ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა იმავე საფუძვლებზე, რომლებზედაც ცნობილ იქმნა დასავლეთ სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. ვიდრე ეს არ მომდარა, ჩვენს წინ ელაგება ჩიჩერინის ორი ნოტა, სადაც არ არის ოდნავი ხაზიც კი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა. ამის გამო უნებურად ეჭვი გებადებათ, ლენინის მთავრობის სურვილების გულწრფელობაში და იმ განცხადებაში, რომ მას არ ჰსურს ბრძოლა ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს განაპირა კუთხეებთან. საბჭ. რუსეთის მთავრობის ახალი პოლიტიკა გვაფიქრიანებს, რომ ალბად საბჭოთა რუსეთი და აზერბაიჯანის საბჭოთა რუსეთს სურს დასავლეთის ფრონტზე დასვენება და მთელ ძალების აღმოსავლეთში გადმოტანა. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს და თავისს—დროზე უნდა ვაგრძნობინოთ მოსკოვის მთავრობას, რომ აზერბაიჯანის ხალხი, სცდილობს რა განაგრძოს კეთილმეზობლური განწყობილება რუსის ხალხთან,—იგი ამავე დროს მარადჟამად უდგია თვის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და პოლიტიკურ ხელშეუხებლობას.

# ახალი ამბები

## პარტიული ცხოვრება

**ტიტე მარგველაშვილის ლექცია**

კვირას, შუადღის 12 საათზე ეროვ. დემოკრ. სტუდენტთა და ახალგაზრდათა მთავარ კომიტეტმა გამართა ბ-ნ ტიტე მარგველაშვილის ლექცია. „მეცნიერული სოციალიზმი და ევროპის თანამედროვე ეკონომიური ვითარება" ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო. ლექტორმა აღნუსხა ევროპის მეურნეობის თანდათანობითი განვითარება და საბუთებით დაამტკიცა ლექციის მთავარი დებულება, რომ ეკონომიური ცხოვრება არ მიისწრაფის სოციალიზმისკენ, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ მოწვეულნი იყვნენ ფრაქციის წარმომადგენელნი და ზოგიერთი დაესწრნენ კიდეც, მოკამათეთ არავინ გამოსულა.

## სამ ნისტროებში

**საქ. მუზეუმის შტატები.**

სახალხო განათლების სამინისტრო მუშაობს საქართ. ეროვნულ მუზეუმის ნორმალურ შტატების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ხარჯთ-აღრიცხვა არ აღემატება 1.657,300 მანეთს.

**45 მილიონის გადადება.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქიქინაძე შუამდგომლობით შევიდა მთავრობაში, რათა ქალაქთა და ერობათა სასურსათო ოპერაციებისთვის გადაიდოს 45 მილ. მანეთი.

**სათესლე მასალის უქონლობა.**

მიწად-მოქმ. სამინისტროს ცნობით სათესლე მასალის უქონლობას ძალიან განიცდის 4 მაზრა: რაჭისა, ქუთაისისა, ახალციხისა და ახალქალაქისა. საჭიროა 1 მილიონი ფუთი სათესლე მასალა.

**წინადადება სტამბის პატრონებს.**

შინაგან საქმ. სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა სტამბის პატრონებს, რათა, თანახმად დამფ. კრების 1919 წ. 16 დეკ. კანონისა ხსენებულ სამინისტროს ეგზავნებოდეს გაზეთისა და სხვა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების ორორი ცალი.

**ალჟირის და ტუნისის წარმომადგენელი** საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით ამ დღეებში მოელიან ალჟირის და ტუნისის სპეციალ წარმომადგენელს ბ-ნ დიურანს, რომელსაც უკვე შემოუვლია შავი ზღვის პირი. ბ-ნი დიურანი წარმომადგენელია საფრანგეთის დიდი ბანკისა და თბილისში აპირებს ამ ბანკის განყოფილების დაარსებას,

**ბ-ნ ალშიბაიას მოსვლა**

თბილისში ჩამოვიდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში ბ-ნი ალშიბაია, რომელიც მთავრობას უდგენს ვრცელ მოხსენებას აზერბაიჯანთან ახალ სატრანზიტო ხელშეკრულობის შესახებ.

## მთავრობაში

**საგარეო საქმეთა მინისტრთან**

ბ-ნ გეგეჭკორთან გუშინ ბრძანდებოდა ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი მისტერ ოლივერ უორდროპი და ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა მათთან.

**ქალ. მოურავის განცხადება**

ქალაქის მოურავის განცხადებით—სინამდვილეს არ შეეფერება ქალაქში გავრცელებული ხმები, ვითომც განზრახული იყოს თბილისში კერძო ელექტრონის სადგურების მუნიციპალიზაცია.

## ერობებში

**„ხუნაგი" ზუგდიდის მაზრაში**

ზუგდიდის სამაზრო ერობა ატყობინებს ერობათა კავშირს, რომ ზუგდიდის მაზრაში ძლიერ გავრცელდა ხუნაგი. შუამდგომლობს საჭირო ზრატი გაიგზავნოს.

**მარილი შორაპნის ერობას.**

შორაპნის სამაზრო ერობა შუამდგომლობს ერობათა კავშირის წინაშე, რათა ჭიათურის მცხოვრებთ გაეგზავნოს ნაღდ ფულზე 2 ვაგონი მარილი.

**ძ. ლოლუა.**

ზუგდიდის ერობა შუამდგომლობს გან. სამინისტროს წინაშე დაინიშნოს ლოტბარი ძუკუ ლოლუა მაზრის სახსიმღერეების ინსტრუქტორად.

## სხვა და სხვა ამბები

**სამხედრო ატაშეს ჩამოსვლა.**

თბილისში ჩამოვიდა საქართველოს სამხედრო ატაშე უკრაინის დირექტორიასთან კაპ. სვანაძე. სამხედრო ატაშემ გზაში გამოიარა პოლონეთში და უცხოეთის სხვა სახელმწიფოებში.

**ყარაიაზის სახელმწიფო მამული.**

ყარაიაზის სახელმ. მამულში შეუდგნენ კაპიტალურ რემონტ 1 განყ. არხებისა მუშაობაზე მოწვეულ არიან ჩინელები, სახ. გვარდია. გაჰყავთ ახალი არხი, რომელიც შემოუვლის ტბას და მორწყავს გვარდიის მიერ მოხნულ 2000 დ. მიწას.

**მიმოსვლის შეჩერება.**

კახეთის რკ. გზის ლიანდაგზე გზის გაფუჭების გამო 5—6—და 7 თებ. მიმოსვლა არ ყოფილა.

**გაზ „მშაკის" გამოსვლა.**

გუშინ გამოვიდა სომხურ გაზეთ „მშაკის" პირველი ნომერი.

**„შევარდენში"**

2 და 3 თებ. რესპუბლიკის ფიზ. განვითარების ინსტრუქტორომა ეგნატაშვილმა თანაშემწესთან ერთად დაიარა ქუთაისის საშუალო სასწავლებლების, მოწაფეთა ფიზიკურ აღზრდის საქმის გასაცნობად.

## სახალხო განათლება

**მასწავლებელთა თხოვნა**

საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა კავშირის ბიურომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს 60 პროც. ჯამაგირების მომატების გამოანგარიშების დროს არ ჩაუთვალოს ხუთ წლიან დამატებანი რადგან ისინი ისედაც მცირე ჯამაგირებს ღებულობენ.

**ოპერა კავშირის სასარგებლოდ**

მასწავლებელთა კავშირის ბიურომ შუამდგომლობა აღძრა სახელ. თეატრის კომისრის წინაშე რათა მან კავშირის სასარგებლოდ დასდგას სახელმწიფო თეატ. ოპერა „აბესალომ და ეთერი".

## წერა-კითხვ. საზ-ში

ახალი წიგნები დაიბეჭდა და იყიდება საკუთარ მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9, სასტუმრო „ორიანტის" ქვეშ) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემანი:

1. რუსული ენის გრამატიკა—პროფ. გ. ახვლედიანის, ფასი 15 მან.
2. „ინგლისის მოკლე ისტორია"—გ. ნათაძის, ფასი 31 მან.
3. ნ. ბარათაშვილი და მისი დრო—რ. ხომლელის ფასი 21 მანეთი.

## სამხატვრო ქრონიკა

**დ. კლდიაშვილის იუბილე** დ. კლდიაშვილის იუბილე გაიმართება კვირას თებერვლის 15. ზეიმი დაიწყება საღამოს 8 საათზე.

**წერა-კითხვის საზ. დადგენილება.** წერა-კითხვის საზოგადოებამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს დ. კლდიაშვილის იუბილეში, გადაიდო შესაფერისი თანხა და იუბილარს წ.-კ. საზოგადოების სახელით მიულოცავენ დ. კარიჭაშვილი და კ. კაკაბაძე.

საიუბილეო კრებული. იუბილესთვის მწერალთა კავშირი ამზადებს სპეციალურ დ. კლდიაშვილის საიუბილეო კრებულს.

# თეატრი

## დღეს:

**სახელმწიფო თეატრი** „ვერტერ". „ტარტოს"-ს დრამა „ის მას ძილს უფრთხობს".

# პროვინციის ცხოვრება

## ბათუმის პორტში

— თებერვალს ბათუმში მოვიდა მოტორიანი ნავი „დროგდენბ" ინგლისის გემი „როსალი" ნოვოროსისკიდან იტალიის გემი „ფრანც ფერდინანდი" რუს. გემი „ურალი" და ანატოლიიდან ინგლისის გემი „ვასილეგო".

— 3 თებერვალს ბათუმში მოვიდა აგრეთვე ბელგიის გემი „ესპანეილ ნობელი" და საქართ ბარჟა „ფაზისი".

# ბალკანეთის მდგომარეობა

### I.

ამ ბოლო დროს დეპეშებს ფრიად საყურადღებო ცნობები მოაქვს ევროპიდან ბალკანეთის მდგომარეობის შესახებ. საზავო კონფერენციის მიერ ბალკანეთის საკითხი თითქმის დამთავრებულად ითვლება, ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ბულგარეთის წარმომადგენლებმა ძალაუნებურად მოაწერეს ხელი და ჩაიბარეს სამარცხვინო ზავის

პირობები და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. ბულგარეთი უზომოდ შევიწროვებულია და ბედის უკუღმა დატრიალებით, გულგატეხილი მოუთმენლად ელოდა საზავო კონფერენციის განაჩენს. სწამდა, მისი ბედი ცოტად თუ ბევრად დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი და არ შეიქნებოდა მეზობელ სახელმწიფოთა შევიწროვების ასპარეზად; მაგრამ საზავო კონფერენციამ თვის გადაწყვეტილებით ოდნავადაც ვერ გაამართლა ბულგარეთის იმედი—არავითარი კომპრომისი! სრული უიმედობა! ზავის პირობების სიმძიმის გამო მთელ ბულგარეთში გამოცხადდა ეროვნული გლოვა ერთი თვით... და ეს იმ დროს, როდესაც სამი-ოთხი წლის განმავლობაში საერთო ომში ჩათრეული ბულგარეთი ოცნების კოშკებს აგებდა და ღრმად სწამდა გერმანიის ჰეგემონიასთან ერთად პატარა ბულგარეთიც გადიქცეოდა Велика България-ად და ბალკანეთზე ველარავინ შეეცილებოდა, შეჰშინდა აქ თავის ჰეგემონიას მით უფრო, რომ გეოგრაფიული თუ სხვა რამ პირობები ხელს უწყობდა ამისთვის

ამ იმედის და მისწრაფების განსახორციელებლად, თვალებ ახვეული ბულგარეთის ხალხი, ითმენდა ყოველგვარ კრიზისს, ვერ ამჩნევდა ცარცვა გლეჯას, რომელსაც აწარმოებდა მეფე ფერდინანდი თავის ამალით და გერმანელ აგენტებით.

მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა და დამარცხებულ ბულგარეთის მთავრობა და გერმანიის პოლიტიკა დაემხო, შესდგა ახალი კაბინეთი, მაგრამ სამი წლის განმავლობაში ცარცვით დაცარიელებული ბულგარეთი ველარა გასწორდა წელში და უკიდურესი ეკონომიური კრიზისი დააწვა თავზედ. რაც კი რამ სარჩო ფხადა, რომელსაც შეეძლო რამდენიმე წელს გამოეკვება ბულგარეთი, გაცარცულ წაღებული იყო. შემოტანა კი არსაიდან. ამას ზედ დაერთო ყველაფრის გაძვირება, ცხოვრება აუტანელი შეიქმნა დაიბადა უკმაყოფილება, რომელმაც მალე ფართე და საზოგადო ხასიათი მიიღო. გაიმართა დემონსტრაციები და გამოსვლები, რომლითაც ითხოვდნენ მეფის გადადგომას და ცხოვრების პირობების შემსუბუქებას. მთავრობის ჯარმა ძალა იხმარა ამბოხების ჩასაქრობად, რამდენიმე ადგილს რკინის გზის ხიდებიც კი ააფეთქეს აჯანყებულებმა. გამოცხადდა საერთო გაფიცვები და სოფლებში დარიგდა იარაღი გლეხ-კაცებში. ამას დაერთო იქ მყოფ ბოლშევიკთა პროპაგანდა და დღეს ამგვარ საშწუხარო სურათს ვხედავთ ბულგარეთში

ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა არეულობის გამო საზღვრები დაჰკეტოს და გაეძლიეროს მოსაზღვრე რაზმები დუნაიზე და დობრუჯაზე. მეფე ბორისმა კი, საფრანგეთის გენერალ ფრანშე დესპერეს მიჰმართა შეკითხვით—შეიძლება თუ არა იმედი იქონიონ სოფიაში მყოფ საფრანგეთის ჯარის ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად.

არეულობა თანდათან ძლიერდება, ედება მთელ ბულგარეთს და ახლო მომავალი გვიჩვენებს რა ფორმებში ჩამოყალიბდება იგი და რა შედეგს მოიტანს.

ასეთია მდგომარეობა ბულგარეთში, რომელსაც თავის დღეში არ მოჰყვება მშვიდობიანობის ჩამოგდება ბალკანეთზე, არც აქაურ პატარა სახელმწიფოთა კეთილმეზობლური განწყობილება და ბალკანეთი კიდევ ერთხელ შეიქმნება მიზეზი ომის დაწყებისა.

არჩილ მაჭავარიანი.

## არტისტ. საზოგ—ბის თეატრის იძულებით ჩამორთმევა

(მოხსენება ქალაქის გამგეობისა)

ქალაქის თვითმართველობის ერთ უმთავრეს მოვალეობათაგანს შეადგენს, საქალაქო დებულების მეორე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტით, ზრუნვა ქალაქის მცხოვრებთა ზნეობის გაუმჯობესობაზედ, სკოლასა და მის გარეშე განათლებაზედ, თეატრის აყვავება-განვითარებაზედ.

ზემოთ დასახულ მოვალეობათ ქალაქის გამგეობა სხვა და სხვა საშუალებით ანხორციელებს, მაგრამ არის ისეთი დარგი ხელოვნებისა, რომელიც თავისი მოწოდებით ყველაზედ მეტად ზემოდ დასახულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ რადგან იგი ქალაქის გავლენის გარეშეა, მას არ ძალუძს ისე მთლიანად და სრულად ემსახუროს ხალხის ინტერესებს, როგორც შეუძლია მას ეს სამსახური თავის ბუნებით. ეს არის თეატრი.

თეატრი—ხალხის სამსახურათ მოწოდებული—კერძო პირის ხელში მხოლოდ მომგებიან საქმეთ ხდება და მის არსებას ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული. თეატრის პატრონი თეატრს მისცემს იმას ვისი პირობებიც მისთვის ხელსაყრელი იქმნება მიუხედავად იმისა თუ რამდენად შესძლებს ესა თუ ის მოიჯარადრე თეატრის მიზნების განხორციელებას შინაარსის და ხელოვნების მხრივ. ამიტომ მოწყობილ ქალაქში თეატრი ქალაქის გამგეობას უნდა ექვემდებარებოდეს, რადგან ეს უკანასკნელი მოგებას არ გამოუდგება და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მის არსებას.

თეატრის მნიშვნელობა კულტურულ საზოგადოებისათვის იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ მისი დატოვება კერძო პირის ხელში დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს მცხოვრებთა წინაშე.

ამ მოსაზრებებით ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეეძინა თბილისში თეატრი და შეჩერდა არტისტიულ საზოგადოების თეატრზედ, რადგან თბილისში არსებული თეატრები: სახელმწიფო-დრამისათვის ყოვლად შეუფერებელია, რადგან ის ოპერებისათვის არის აშენებული რეზონატორით; ქალაქის სახალხო სახლი ემსახურება ყველა ეროვნების სექციებს და პროფესიონალურ აქტიორს იქ ადგილი არა აქვს.

დანარჩენი თეატრები და კლუბების დარბაზები ხელოვნურ წარმოდგენებისათვის სრულიად შეუფერებელი არიან და ამიტომ ამ თეატრებზედ ლაპარაკი ზედმეტია. არტისტიული თეატრი-კი ეკუთვნის კერძო პირს და მას მისი პატრონიც კომერციულ მიზნებისათვის იყენებს. ამიტომ არის, რომ აქ წლის განმავლობაში ნახავთ დრამას, ინდოელ ფაკირებს, პროჟექტორს და სხვა ყველა იმას, რასაც შეუძლია მის პატრონს დიდი სარგებლობა მისცეს.

არტისტიულ საზოგადოების თეატრის შენობა ეკუთვნის დავით ბოღდანის ძე ავან-იუზბაშოვ-ხან საგნახსკის, იმყოფება ქალაქ თბილისში, მეორე კომისარიატში, რუსთაველის ქუჩაზედ № 22, ქალაქის წიგნებში ჩაწერილია 92 ნომრით, შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—მიხეილ ოსიპის ძე არამიანცის, ისაი არზუმანის ძე ტიუნიბეკოვის, მატრონა ილიას ასულის ივანოვისა და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მურადოვის მამულები, აღმოსავლეთით: ვასილი ილარიონის ძე გაბაევის მამული და ეფრეიტორის ჩიხი; სამხრეთით: მარგარიტა მიხეილის ასულის აზიანცის და სამხედრო სამეურნეო უწყების მამული: დასავლეთით. რუსთაველის პროსპექტი. ამ საზღვრებში იმყოფება მიწა, დოკუმენტების მიხედვით; 1277 ოთხკუთხი საჟენი, ტეხნიკის მოზომით კი 1139,63 ოთხკუთხი საჟენი. შენობა ამ მიწაზედ სამ სართულიანია, ხოლო ეფრეიტორის ჩიხიდგან—ორი ფლიგელი აქვს მოდგმული ელექტრონულ სადგურის ბინისათვის.

მთავარ-შენობის **ძირს სართულში** მოთავსებული იყო რესტორანი „ანონა“,—ერთი დიდი დარბაზი, ოთხი კაბინეთი, სამზარეულო და სხვა წვრილმანი საჭირო ოთახები. **პირველ სართულში** მოთავსებულია: ქუჩის მხრივ—ოთხი მაღაზია—თერთმეტი თვალი. შიგნით: თეატრის დარბაზი, კასსა, კორიდორები, ტანისამოსის გასახდელი და სხვა.

სცენის უკან არის ექვსი საცხოვრებელი ბინა 10 ოთახით, სადაც თეატრის და სხვა მოსამსახურეები ცხოვრობენ.

**მეორე სართულში** მოთავსებულია: საკონცერტო დარბაზი, ორი საპირფარეშო, ორი სასადილო, ერთი ბანქოს სათამაშო დარბაზი და ფოიე.

**მესამე სართულში:** 7 დიდი ოთახი, ორი სამზარეულო და თეატრის ქანდარები.

**სამხრეთი ფლიგელი** ეფრეიტორის ჩიხის მხრივ ორ სართულიანი, მოთავსებულია ორი ბინა—ორ-ორ ოთახით.

**ჩრდილო ფლიგელი** იმავე ჩიხის მხრივ სამ სართულიანი, ზევით და მეორე სართულში ორი ბინაა. თითო ხუთ ოთახიანი, ხოლო ძირს სართულში 1 ბინა სამ ოთახიანი.

**ელექტრონის სადგურზედ** სდგას: სამი ორთქლის ქვაბი, ერთი, ორთქლის მანქანა 150 ცხენ. ძალიანი, ორი ნავთით მამოძრავებელი „დიზელისა“—ერთი სამოცდაათ ცხ. ძალიანი, მეორე ოთხმოცდაათი—ძალიანი და სამიც დინამომაშინა.

მთელი ეს მამული 1912 წელს შეფასებულია სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ორმოცდათოთხმეტი (397.254) მანეთათ, არავითარი განცხადება ამ მამულის ხელ-ახალი შეფასების შესახებ 1912 წლიდან დღემდის გამგეობაში არ შემოსულა.

გამგეობამ, გადაწყვეტილების შემდეგ, მიანდო ქალაქის მოურავს მოელაპარაკნა არტისტიულ საზოგადოების შენობის პატრონთან და ფასის შესახებ მორიგებით გაეთავებინა მასთან საქმე.

1920 წელს 1 იანვარს ქალაქის მოურავმა მოახსენა გამგეობას, რომ იგი მოელაპარაკა არტისტიულ საზოგადოების შენობათა პატრონს დავით ბოღდანის ძე ავან-იუზბაშევ-ხან საგნახსკის და წინადადება მისცა მას მორიგებით გაეთავებინა საქმე ბ-ონ ავან იუზბაშევ-ხან საგნახსკიმ შენობების გაყიდვაზედ ლაპარაკი არ მოისურვა, და განაცხადა რომ თუ ქალაქს სურს თეატრის აღება—შეუძლია მას იჯარით აიღოს იგი. ამაზედ ქალაქის მოურავმა სთხოვა ერთი კვირის განმავლობაში წარმოედგინა მისთვის იჯარის პირობები, ხოლო ხან-საგნახსკიმ ითხოვა ამ პირობების წარმოსადგენად ათი დღე: ამ მოლაპარაკების შემდეგ გავიდა 20 დღე და ხან საგნახსკიმ პასუხის მიცემაც არ მოისურვა.

გამგეობამ მოისმინა ქალაქის მოურავის მოხსენება მიმდინარე წლის 24 იანვარს და დაადგინა: დავით ბოღდანის ძე ავან-იუზბაშევ ხან-საგნახსკის იძულებით ჩამორთმევას არტისტიულ საზოგადოების შენობები იმ ფასით როგორც შეფასებულია უკანასკნელათ.

გამგეობა სთხოვს საბჭოს მის დადგენილების დადასტურებას.—

## ნაციონალური ჰიმნი.

გაზეთ „ვოზროჟდენიე“-ში (№ 25. 3 თებ.) მოთავსებული იყო წერილი კომპოზიტორი დ. არაყიშვილისა. „სახალხო ჰიმნის საკითხი“. ავტორი წერილისა აღნიშნავს თავისუფლების განმტკიცებას საქართველოში და მასთან უქონლობას შესაფერ ჰიმნისას, ბ. ფოცხვერაშვილის „დიდება“ არ შეეფერება ერის სულის კვეთას. ავტორის აზრით, შესაძლებელია პირდაპირ დამტკიცება ქართულ სახალხო ჰიმნად სვანური—„ლილეჰო“-სა, როგორც გამომხატველის აღფრთოვანებისა, თავისუფალ სვანთა მისწრაფებისა, როგორც ყოვლმხრივ ორიგინალურისა და ტიპიური ქართულის ჰარმონიით აღსავსის. მართალია, სახალხო ჰიმნი უნდა იწვევდეს აღტაცებას, ვიტყვით მეტსაც, იგი უნდა აღანთებდეს მსმენელს, მასში სრულიად უნდა იყოს ჩართული მოტივი თავგანწირვის სამშობლოსათვის, და ეს საზეიმო ელფერი უნდა ჰქონდეს.*)

ჩვენის აზრით, არა ერთი და ორი ნამდვილი ქართული ჰარმონიაა საქართველოს სხ. და სხ. კუთხის სახალხო მოტივებში. არა ერთი და ორი „ლილეჰო“-ზე უფრო აღმაფრენი სიმღერა მოიპოვება გურულ-მეგრულ-იმერულ-აჭარულ, თუ სხვა კუთხის სიმღერებში, მაგრამ სანამ რომელიმე მათგანს მივცემდეთ უპირატესობას საჭიროა შესწავლა საქართველოს სხ. და სხ. კუთხის მოტივებისა რისთვისაც, ხელოვნებულ სპეციალისტებმა უნდა გამოიყენონ მომავალი გაზაფხული—ზაფხულის თვეები. საქართველოს ყოველსავე ნაწილს მოეპოვება „კუთხე პოეზიისა“, როგორც, მაგ., საფრანგეთს, ტრუბადურთა პოეზიის შემნახველი, პროვანსი (შეად. province-პროვინცია) ან რუსეთს უკრაინისა და ციმბირის ზოგიერთი მიყრუებული ადგილები. ჩვენში ასეთებია, მეღექსეობა სიმღერის კუთხე: ს. ს. ფარახეთი, სევა (რაჭაში), კახათი (სამეგრელოში) და სხ. ყურადსაღებია მოტივები რაჭულ სიმღერათა: ე. წ. „ქვიდრულა“-სი (სოფლ. და წყლ. სახელწოდება), სამხედრო მოტივისა—„ტყლეს ჩ მოდგა...“ და სხ. ამგვარად საკითხის საბოლოოდ გადაჭრას წინ უნდა უძღოდეს შესწავლა სახალხო მოტივებისა, გამოწვლილვა (ანალიზი) მათი უმთავრესი ხასიათისა და მხარეებისა. თვით საკითხი კი უნდა გადაწყდეს კოლექტიურ შეთანხმებით და ჟიურის დასტურით.

სახალხო ჰიმნი, საზეიმო აღტაცებისა და თავისუფლებისადმი სწრაფვის გამოწვევის გარდა, უნდა ასრულებდეს ერთ უდიდეს როლსაც: იგი უნდა აერთებდეს, აკავშირებდეს მსმენელთა.

ამას კი შესძლებს მართლაც საუკეთესო სახალხო მოტივი, რომელიც შედეგი უნდა იქნეს ღრმა დაკვირვებისა და აწონ-დაწონვისა ხელოვანთა მხრივ და უფრო კი ის ჰიმნი, რომელიც შედუღდება სხვა და სხ. ქართულ ჰანგებისაგან, კომპოზიციაში ასეთი ეკლექტიზმი ხომ შესაძლებელია. რა თქმა უნდა, სვანური მოტივი სვანს უფრო მეტს ეუბნება და ეტყვის, მეგრული—მეგრელს და სხ.

ჩვენი წინადადების განხორციელება თუ შეუძლებელია, მაშინ უნდა უცადოთ საკუთარ რუჟე-დე-ლილლხა,*) სულის მესაიდუმლეს, რომელიც ხელოვნურად შეადუღებს სხვა და სხ. კუთხის მოტივებს და შექმნის ქართულ—„ტფილისიეზა“ ან „ქუთაისიეზას“. გვახსოვდეს ერთი რამ: ეს საკითხი, უფრო ხათუთი, ვიდრე რთული, საკითხია, მის გადაჭრაში აჩქარება შეუძლებელია.

საკითხი ეხება ნაციონალურ ჰიმნს და ეს უკანასკნელი კი, ჩვენის აზრით, —სულია ერისა.

შ. ბერიძე.

**რედაქციის შენიშვნა:** ვინაიდან საკითხი ნაციონალური ჰიმნის აღიარებისა მეტად საყურადღებოა, ჩვენ სასურველად ვცნობთ, რომ ჩვენმა მუსიკოსებმა თავისუფალი აზრი გამოსთქვან ამ საკითხის შესახებ, რასაც რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს თავის ფურცლებს.

*) კარგებია ამ მხრივ: ფრანგული მარსელიეზა და ძვ. სომხური—„მერ ჰაირენიქ“ (ჩვენი სამშობლო), წარმოშობით იტალიური.

*) ფრ. „Marseillaise“-ას შემთხზველი 1792 წ., დღეს ნაციონ. ჰიმნია საფრანგეთში. შ. ბ.

## კორესპონდენციები

### წერილი ხიდისთავიდან

დიდი ხანია ჩვენი ხალხი ერობას ინატრიდა იმასაც დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულს, თითქოს ეს ნატვრაც ასრულდა მაგრამ დემოკრატიულ ერობის მაგიერ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი დაწესებულება შეიძინა. ექვსი თვე გადის მას შემდეგ რაც ხიდისთავის რაიონში წვრილი საერობო ერთეულების არჩევნები მოხდა, ხალხიც სიხარულით შეხვდა ამ არჩევნებს და თავის კანდიდატები წამოაყენა; მაგრამ ბედმა უმტყუნა: თურმე ამ სიაში გამოერია ზოგიერთი სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრი, რომელთაც არა თუ მიიღეს მონაწილეობა ხალხის სიაში, პირიქით კიდევაც გაჯავრდენ და ისე განაცხადეს: ჩვენ სოციალისტები ვართ და თქვენთან საერთო არაფერი გვაქვსო და ჩვენ ჩვენი სიით გამოვდივართ არჩევნებშიო; ამის შემდეგ ხალხმა არჩევნებს ზურგი შეაქცია. სამი ათასი ამომრჩეველიდგან, მხოლოდ ექვსასი მენშევიკების პარტიის წევრი გამოცხადდა ყუთებთან. ამ რიგათ შესდგა პარტიული მენშევიკური ერობა, ესე იგი ასეთა რომელიც ხალხის არც სურვილს და არც მისწრაფებას არ შეადგენდა.

ეხლა ვიკითხოთ: რა გააკეთა ამ ერობამ ექვსი თვის განმავლობაში? მხოლოდ ის რომ ძველთაგან გაკეთებული დაინგრა და ახალის აღშენებაზე აღარ ზრუნავს. არ არის ყურადღება მიქცეული არც გზებზე არც ხიდებზე არც სკოლებზე არც ხალხის გამოკვებაზე რაც მისის ყურადღების პირველ რიგში უნდა იყოს დასმული, რადგან სულ ცოტა ხანში შიმშილი ხალხს მუსრს გაავლებს; არც სახალხო შენობაზე ზრუნავს რომელიც ესაჭიროების ფოსტას სამკითხველოს თეატრს და სხვ; სხვათა შორის ისე დაწვრილმანდნენ, რომ თემის სამართველოს შენობაც არ აქვთ და დღეს სამართველო შუაბაზარში—დუქანში არის მოთავსებული, გადასახადების აკრეფის, თუ მადანის საქმე, ხომ პირდაპირ ძალმომრეობის, თუ მიკერძოების ნიადაგზეა წარმოებული მაგალითად, სამაზრო ერობამ გააწერა ხიდისთავის თემს 175,000 მან. მიიღეთ მხედველობაში რომ ეს თემი მრავალრიცხოვანიც ამ თანხიდგან ეს სანიტარული გადასახადი ადგილობრივმა თემის საბჭომ გამოყო და 81000 მანეთი დაადვა ხიდისთავის ორიოდე გაძვალტყავებულ ვაჭრებს რომელთაც ამ ფასის გადება მათ საწარმოოს, საშუალებას სრულებით გაუნადგურებს და ამის შესახებ ადგილობრივმა ვაჭრებმა თხოვნითაც კი მიმართეს სამაზრო ერობას, მაგრამ ყურადღებას არავინ მიაქცია, მიუხედავათ იმისა, რომ სამაზრო ერობამაც კი იცნო ეს გადასახადი უკანონოთ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და მთავრობამ გამოარკვიოს სინამდვილე და იხსნას ეს ბედშეული ღარიბი ვაჭრები ადგილობრივ სათემო საქმის ძალმომრეობისაგან, რადგან ასეთი მათი მოქმედება გამოწვეულია იმით რომ ზერელე სიმპატია მოიპოვონ ხალხში, ათი ვაჭარის განადგურება უფრო ადვილია ვიდრე ათასი კაცის მცირეოდენ შევიწროვება: ხალხი ხედავს ამ უკანონობას იმით ეს ბობოლები ხალხის გულს ვერ მოიგებენ; იცოდენ რომ ყოველივე უკანონო მოქმედებისთვის პასუხს აგებენ. დროა ხალხი გამოფხიზლდეს მომავალ არჩევნებზე აირჩიოს ისეთი თვით მართველობა რომელიც უნდა შედგებოდეს მცოდნე და გამოცდილი თვით ხალხის უმრავლესობიდგან ნდობით აღჭურვილი პირებიდგან.

## ქართლი 1914 წ.

(საზოგადო მიმოხილვა).

გზები, რკინის გზა. ფოსტა.

### გ ზ ე ბ ი

ქართლი დასერილია საურმე გზებით. მომეტებული მათგანი მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს შორის უვლის. როცა ამ გზებს აკეთებდენ მაშინ რომელიმე გავლენიანი პიროვნება თავის სამოსახლო ადგილებს უკვალებდა და ასე უხერხულ გზებს აყვავებდა. გზები ბეგარის საშუალებით, ქვიშით დააფინინეს, დაახლოებით 1885 წ. ანუ მაზე ცოტა გვიან თუ ადრე. ამგვარად გაჩნდა კარგი გზები,—ბოგირებიც გაუკეთეს არის ერთი ძველი გზაც თბილისიდამ ახალციხისკენ მიმავალი, ეს გზა უკვე დამტვრეული ქვით არის მოფენილი. ამ მთავარი გზებით მთელი ქართლის ავლა-დიდება იზრდება რკინის გზისკენ. ამ გზებს დრო და დრო შეაკეთებდნენ ხოლმე. მეტადრე მაშინ როცა ან გუბერნატორი ან მაზრის უფროსი გამოისეირნებდა აქეთ. 1919 წლისთვის ყველა ეს გზები საშინელებს წარმოადგენდა. ბოგირები ჩაშლილი, ხარძაყები ამონგრეული.

ამ წლის დამლევს ერობებმა გზებს ყურადღება მიაქციეს; მცხოვრებთ უხეირო გზების საშუალებით დიდი ზარალი მიეცათ, ჯერ ქირის ზიდვის ფასის დიდი აწევით, მერე ეტლებ-ურმების დამტვრევით. მშვენიერი შარაგზა, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ და მთელ ქართლის შუა გულზე მიიმართება სრულიად უპატრონოდ არის მიგდებული, რადგან ხიდები და ბოგირები ჩანგრეულია ზედ არავინ მგზავრობს.

### რკინის გზა.

რკინის გზის მდგომარეობაც სახიფათო იყო. სადგურებზედაც კი უსუფთაობა, ქვა და რიყე უსწორ-მასწოროთ დაყრილი-ლიანდაგებს შუა ნაგვით სავსე. მუშები აქა იქ ზარმაცად მოძრაობდნენ. სადგურების გარედ ძველებურად, შეკეთებულ გზის ლიანდაგს, ველარ ხედავდით. საყარაულოთა გარშემო უსუფთაობაა. გზის ყარაულობა თითქო აღარ იყო სავალდებულო. რამდენიმე ალაგს სადარაჯოებსა და სემაფორის პატარა ხუხულებს ცეცხლი წაეკიდებოდა ხოლმე, და იწოდა რისთვის? არ ვიცი. მატარებლების დამსხვრევა და გადაბრუნება ხშირი იყო. ზარალი დიდი. მოსამსახურეთა გულგრილობა, დამნაშავეებისა არა აღმოჩენა. სადგურების მოხელეებს დიდი უსიამოვნება მგზავრებისა და საქონლის გამგზავნ გამომგზავნის შორის. მექრთამეობა, პატივის ცემად წოდებული, დიდი იყო, გაგზავნილი საქონლის დაკარგვა რკინის გზის სადგურებში. მერე ნაკლებ ფასში საზღაურის მიღება, დაკარგულ საქონლისა, რვა ცხრა თვის შემდეგ, ბევრჯელ სულაც არ მიღება საზღაურისა, რადგან მასი უკან დევნა უფრო ძვირად ჯდებოდა. წვრილ დანაკარგის ან დამ[illegible]კრულ საქონელზე მუშების მიერ, ლანძღვის და მუქარის მიღების მეტი არა იყო. ყველა ამას საწყალი ხალხი ითმენდა. ტარიფის გადიდება რამდენჯერმე მოხდა. ყველა ამას ხალხი ურიგდებოდა მოლოდა თავაზიანობა თხოულობდა. აჟარებული ხალხი უფასოდ დადიოდა რკინის გზით, დიდი უწესოება იყო რკინის გზებზე ყველგან და ყველა მოხელეთაგან. მეტადრე დიდი თავგასულნი იყვნენ რკინის გზის დამტვირთავნი და გადმომტვირთველნი მუშები. მათი ნება იყო ყველა. რკინის გზის უფროსს თუ სხვა მოხელეს მათ ნებაზე უნდა ევლო და გარეშე ხალხი ხომ მათი ყმა იყო.

### ფოსტა.

არც ფოსტის მოძრაობა იყო წესიერი. ფოსტის მზიდავ მოიჯარადრეებმა ველარ გაუძლეს ქირისა, მუშის ფასის და ეტლების შეკეთების სიძვირეს და უარი სთქვეს ფოსტის ზიდვაზე. და ფოსტის გზავნა თვეობით იყო შეჩერებული. რომელიმე კერძო ეტლზე ფოსტის მოხელე სხვა მგზავრივით ფასს იხდიდა და ისე მიჰქონდა ბარგათ ფოსტის ჩანთა, თუ სადმე ეს ჩანთები გადარჩენილიყო. სულ დაიკარგოდათ ჩანთები. წერილები 2 და მეტი კვირა იგვიანებდა. ყველა ეს ჩამოთვლილი ამბავი ფოსტას ზარალს აძლევდა, მოხელეები კი ჯამაგირის მომატებას თხოულობდნენ ფოსტის ტარიფიც იზრდებოდა, წერილის გზავნა 60 კაპეიკი ღირდა ტელეგრამის სიტყვა 50 კაპ. ამანათის გაგზავნა ას ვერსზე გირ. 20 კაპ. ეს უკანასკნელი მეტად იაფი იყო, ურმით და რკინის გზით გაგზავნაზე ერთი ორად იაფი იყო.

გაიხსნა რამდენიმე სოფელში ფოსტის კონტორის განყოფილება გაიბა ტელეფონების მართულები. ტელეფონით სარგებლობა ერთი და იგივე მართულით ხდებოდა, როგორც ტელეგრაფით ახლა კი ტელეფონისთვის ცალკე აბმენ. წლის მიწურულიდან ტელეფონის ბოძები და მოხელეთა და მუშების ხარჯი სოფლებს დააკისრეს. ფოსტის ბინები კერძო პატრონის სახლებში არის მოთავსებული.

ფოსტაში მოსამსახურეთა რიცხვი შეამცირეს. უკვე ქართულ ენაზე შემოიღეს საქმების წარმოება და ტელეგრამების მიღება.

ალ.

## წერ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო ნება მიბოძეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი მოვათავსო „ერთობაში“ 4 თებერვლის ნომერში, ახალ ამბავში, იყო მოთავსებული შემდეგი ცნობა: გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგა აჭარის დელეგაციაო.

საზოგადოების საყურადღებოთ მინდა აღვნიშნო, რომ იმ რამდენიმე პირს რომელიც ბათომიდან თბილისს ჩამოვიდა და რომელიც „ერთობის“ ქრონიკარი იხსენიებს, არავითარი დამოკიდებულებულობა არ აქვს აჭარის ხალხთან და ამ უკანასკნელს მათთვის არც არაფერი დაუვალებია. მინდა ავღნიშნო საზოგადოთ საჭიროა მეტის სიფრთხილით ეპყრობოდენ როგორც პრესსაში ისე სათანადო წრეებში, აჭარის და მის დელეგაციის საკითხს არა მგონია სასარგებლო იყოს ჩვენი ქვეყნის ინტერესისთვის აჭარის ხალხის დელეგაციების ნაირ-ნაირობას გამრავლება სხვა და სხვა სურვილის მიხედვით. პატივისცემით ასლან აბაშიძე.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

## გზათა დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულია

### ტყიბულის ქვანახშირის გასაღება

გადაეცეს სააგენტოს, რომელსაც ქვანახშირი დაეთმობა კერძო პირებზე გასაყიდათ დაწესებულ ფასებზე განსაზღვრული პროცენტების დაკლებით. სააგენტო ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვა-ნახშირისა გადიტანოს მაღაროებიდან გასაყიდათ და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად სააგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულობის პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში კვირა-უქმე დღეებში 11—12 ს. საქმის დღეებში-კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50.000 მ. და მის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინოს თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50.000 მანეთი უკანვე დაუბრუნდებათ შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულობის უზრუნველ საყოფად ხაზინაში წარსადგენ ბეში.

243 5—4 გზათა დეპარტამენტი

ასლან სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 4.